დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 53 08
25/12/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-19 მუხლის ,,ბ'' პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ,,დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ დანართი N1 - ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს ,,ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ დანართი N2 - ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ დანართი N3 - ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს ,,ტრანსპორტით მომსახურების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ დანართი N4 - ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს ,,ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ N5 - ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს ,,ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (შეშა ან ბიოსაწვავი ,,ბრიკეტით“) უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი“ დანართი N6 - ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს ,,მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა“ დანართი N7 - ის შესაბამისად.
8. 2019 ადგილობრივ ბიუჯეტით დამტკიცებულ სოციალური პროგრამებისათვის გათვალისწინებული ერთიანი თანხის ფარგლებში თანხის პროგრამებს შორის გადანაწილება განხორციელდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესაბამისი სამსახურიდან (მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური) მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
9. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია დიალიზის საჭიროების მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. ამოცანები

პროგრამის ამოცანაა დიალიზის საჭიროების მქონე პირების მიერ ფინანსური სახსრების დაზოგვა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის საჭიროების მქონე პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანასური დახმარების სახით ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 4. კრიტერიუმი და დაფინანსება

ა) დიალიზის საჭიროების მქონე პირები;

ბ) პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დიალიზის საჭიროების მქონე პირებისათვის თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა ხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. დიალიზის საჭიროების მქონე პირმა პროგრამით სარგებლობისათვის შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერს, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

ა) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N 100, სადაც მითითებულია რომ პირი საჭიროებს დიალიზით მკურნალობას;

გ) პირადი საბანკო რეკვიზიტები;

დანართი N2

ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული პირების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან ავთვისებიანი სიმსივნით და C ჰეპატიტით დაავადებული პირები.

2. სხვა სამედიცინო დიაგნოზის არსებობის შემთხვევაში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა მერის ინდივიდუალური გადაწყვეტილებით.

მუხლი 4. პროგრამის კრიტერიუმი და დაფინანსება

1. კრიტერიუმები:

ა) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები;

ბ) C ჰეპატიტით დაავადებული პირები;

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა ხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების შემცირება, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1) შესაბამისი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

2) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

3) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N 100;

4) პირადი საბანკო რეკვიზიტები;

დანართი N3

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობისათვის სასწრაფო, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

ა) პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირები;

ბ) ცალკეულ შემთხვევაში მერის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურად განსაზღვრული პირები.

მუხლი 4. კრიტერიუმი და დაფინანსება

1. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი მოსახლეობის სოციალური დახმარების კომისიის (შემდგომში –კომისია) მუშაობაში გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა) ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა;

ბ) იძულებით ადგილნაცვალი პირები და მათი ოჯახის წევრები;

გ) ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები;

დ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ე) 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ვ) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად);

ზ) C ჰეპატიტით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად).

2. დაფინანსება:

ა) ბენეფიციარების დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, კომისიის დასკვნისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

3. სტაციონარულ, ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება ხორციელდება სრულად არა უმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა ხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების შემცირება, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. შესაბამისი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N100;
4. ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;
5. [illegible]

დანართი N4

ტრანსპორტით მომსახურების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2 . ამოცანა

პროგრამით მოსარგებლე პირებისათვის მგზავრობის უზრუნველყოფა და ფინანსური სახსრების დაზოგვა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები (ინფორმაციის წყარო - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო);

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსინათლოები (ინფორმაციის წყარო - საქართველოს უსინათლოთა კავშირი);

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ვეტერანები (კოდი – 100, 111, 112, 113, 200, 300, 311, 312, 313, 500, 501, 800), ინფორმაციის წყარო - სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური);

დ) დიალიზის საჭიროების მქონე პირები (რომლებიც სარგებლობენ დმანისის მუნიციპალიტეტის ,,დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამით“).

მუხლი 4. ტრანსპორტის გადადგილების მიმართულება

ა) ქ. დმანისიდან ქ. თბილისის და ქ. თბილისადან ქ. დმანისის მიმართულებით გადაადგილება კვირაში ორი დღე, ხოლო კვირა საღამოს ერთი მიმართულებით გადაადგილება ქ. დმანისიდან ქ. თბილისის მიმართულებით.

ბ) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.

გ) საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად;

დ) სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილებისათვის სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

ე) ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე;

ვ) მე-3 მუხლის ე) ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში გამოიცეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ტრანსპორტის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა ხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები

მოსახლეობის მიერ ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი N5

ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა და მისი განხორციელების წესი

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანები

პროგრამის ამოცანაა ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, წლის განმავლობაში ერთ მოსარგებლეზე არა უმეტეს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების წყარო

1. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა ხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ფინანსური სახსრების დაზოგვა და ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისათვის აუცილებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1) შესაბამისი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3) ანგარიშ - ფაქტურა შესაბამისი კვების პროდუქტების მიმწოდებელი ორგანიზაციიდან;
4) პირადი საბანკო რეკვიზიტები.

დანართი N6

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსარგებლეთა (მარტოხელა პენსიონერი პირები) მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა მარტოხელა პენსიონერი პირების საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

ა) პროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა პენსიონერებს საშუალება ეძლევათ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, გათბობის მიზნით, მუნიციპალიტეტიდან დახმარების სახით მიიღონ შეშა/ბრიკეტი ან სხვა მასალა.

ბ) ცალკეულ შემთხვევაში მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები.

მუხლი 4. კრიტერიუმები:

პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა) მარტოხელა პენსიონერი პირები;

ბ) მოსარგებლე ამ პროგრამის გათვალისწინებით იღებს მატერიალურად 2მ^3 შეშას ან შესაბამისი რაოდენობის ბიოსაწვავის „ბრიკეტის“ სახით.

ბ) ცალკეულ შემთხვევაში მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა ხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის მიერ სათბობ მასალაზე დახარჯული თანხების შემცირება, შესაბამისად მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი N7

მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (100 000 სარეიტინგო ქულა) მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსება.

მუხლი 2. ამოცანა

პროგრამის ამოცანაა პროგრამით მოსარგებლე პირებისათვის მედიკამენტებით უზრუნველყოფა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ, დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომლებიც ექიმის დანიშნულებით საჭიროებენ მედიკამენტურ მკურნალობას რომელთა სარეიტინგო ქულა 100 000-ს არ აღემატება; (შემდგომში ბენეფიციარები) და განეკუთვნებიან ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ბ) პირები რომლებიც დაავადებულნი არიან: გულის მანკით, რომლებსაც ესაჭიროებათ პოსტინსულტური და პოსტინფარქტული რეაბილიტაცია.

გ) ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები;

დ) ფსორიაზით დაავადებული პირები;

ე) ეპილეფსიით დაავადებული პირები;

ვ) ქრონიკული ბრონქიალური ასთმით დაავადებული პირები;

ზ) პარკინსონით დაავადებული პირები;

თ) ცალკეულ შემთხვევაში მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმი

1. ბენეფიციარისათვის დახმარების გაწევის გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი მოქალაქის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. მედიკამენტების დახმარების მიზნით გაცემული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150.00 (ას ორმაცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს წლის განმავლობაში.

3. ანგარიშსწორება განხორციელდება მედიკამენტის მომწოდებელთან უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამა ხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

მუხლი 7. მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (100 000 სარეიტინგო ქულა) რეგისტრირებული მოქალაქეები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოფილი იქნებიან მედიკამენტებით, პროგრამით დადგენილი ფინანსური ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №IV-100ა (კანონმდებლობით დადგენილი ფორმით);
ე) ექიმის მიერ დანიშნული რეცეპტი (მედიკამენტების ჩამონათვალი);
ზ) მედიკამენტის მიმწოდებელი დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები.